ცნობის ფურცელი

№ 2549 შაბათი, 10 ივლისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2549

ზეთის ფასი: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ლის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ნქის ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372,

ფოთის საბუხჰალტერო კურსები

(წელიწადი მეხუთე)

სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან და გრძელდება ერთი წელი და ორი თვე. კურსებზე ღებულობენ როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. ასწავლიან: 1) საერთო ბუხჰალტერიის მარტივი და ორკეცი სისტემისა. 2) სპეციალურ ბუხჰალტერიას სხვა-და-სხვა დაწესებულებათა: ბანკების, ქარხნების, აქციონერულ საზოგადოებების, დიდ მაღაზიებისა და სხვათა ამგვართა. 3) სავაჭრო არითმეტიკას. 4) სავაჭრო ეკონომიას. 5) სავაჭრო გეოგრაფიას. 6) სავაჭრო და სათამასუქო კანონებს. 7) სავაჭრო მიწერ-მოწერას და 8) კალიგრაფიას.

კურსების დამაარსებელი კ. გიგინეიშვილი.

მსურველთ პროგრამებს უგზავნის უფასოდ. (25—5.—3)

ს ა ფ ა ბ რ ი კ ო ს ა წ ყ ო ბ ი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

ევრის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—139)

ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის კრებული აცხადებს,

კვირას, 11 ივლისს, წირვის შემდეგ

დანიშნულია არჩევანი

ხსენებულის ეკლესიის მნათესი (სტაროსტა). (1—249—1)

ტ ფ ი ლ ი ს ი ს

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. ძულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 0—1 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. მ. ხოზოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1—3 საათამდე.

მ. ა. ბეიერი.—-შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

მძ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.

დ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ზ. მ. ხოზოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია. ორშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მვილის ქუჩიდან-კი 34 Б. (რო.)

ტელეფონი № 274.

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 12—2 ს., საღამოთი 6—8 ს., სამშაბათობით მხოლოდ საღამოობით. კიროჩნის და დიდი თავრის ქუჩ. კუთხე, სახლი სვანიშვილისა № 11 (კიროჩნი ქუჩიდან).

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელი აცხადებს, რომ მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის 40 თავისუფალი ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში, რომელშიაც მიიღებიან 7 და 8 წლის ყმაწვილები, დანარჩენ განყოფილებებში და პროგიმნაზიულ კლასებში თავისუფალი ადგილი სრულიად არ მოიპოვება.

თხოვნების მიღება გაგრძელდება 25 მარიამობისთვემდის; თხოვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს წლოვანების, აზნაურობის და ყვავილის აცრის მოწმობები.

ყმაწვილების მიღება დანიშნულია 27 მარიამობისთვეს.

ხელ-მეორე გამოცდა, რომელიც მაისში დაენიშნა მოსწავლეებს, მოხდება 25 და 26 მარიამობისთვეს.

სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვეს. (ნ. 3—1)

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 ივლისი

მუკდენი. ჩინელთა შორის ხმა დადის, რომ სინმინტინის ოლქში თავმოყრილია ხუნხუზებისაგან შემდგარი ჩინელთა ცხენოსანი რაზმი, რომელშიაც 2000 კაცამდეაო. ამ რაზმში 20 იაპონელი აფიცერია, ტანისამოს გამოცვლილი. რაზმს, როგორც ამბობენ, აზრადა აქვს, მოულოდნელად გაემართოს მუკდენსა და ტელინისკენ, დაანგრიოს რკინის გზა და ამით გაუძნელოს საქმე რუსის ჯარს. ამას წინად ამ რაზმის ნაწილი გაჩნდა მონგოლიაში, კულოს მახლობლად, საიდანაც გაირეკა დიდ-ძალი საქონელი, მანჯურიაში გასაგზავნად დამზადებული. ამ ხმას დამტკიცება ეჭირვება.

ალექსანდრია. აქ მოვიდა ინგლისის ორი კრეისერი.

მალტა. ინგლისის ორი კრეისერი და სამი ნაღმიან გემების გამანადგურებელი წავიდა ხმელთა შუა ზღვის ესკადრასთან შესაერთებლად. ეს ესკადრა უთუოდ ალექსანდრიაში მიდის.

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა, მისს უდიდებულესობას 7 ივლისს: „ცვლილება არა მომხდარა-რა. 6 ივლისს, ღამე, ჩვენი ერთი რაზმი ყაზახებთან ერთად თავს დაეცა იაპონელთა სადარაჯოს, რომელიც ტხავუანის სამხრეთ-აღმოსავლეთით იყო, სოფ. ხუდიანძთან. ჩვენებმა 21 იაპონელი ხიშტებით მოჰკლეს ქოხში; დანარჩენებმა ფანჯრიდან გადახტომა და მთაში გაქცევა მოასწრეს; მაგრამ ამათაც სროლა დაუწყო იაპონელთა როტამ, რომელიც მისაშველებლად მოდიოდა. წამოღებულ ქუდებსა და სხვა ნივთებიდანა სჩანს, რომ სადარაჯოში გვარდიის მეოთხე პოლკის სალდათები იყვნენ. ჩვენ მოგვიკლეს ერთი და დაგვიჭრეს ოთხი სალდათი“.

9 ივლისი

ლონდონი. („რეიტ. სააგ.“). გემ „მალაკკა“-ს დაჭერით გამოწვეული მღელვარება თან-და-თან ძლიერდება. ოპოზიციის მეთაურებმა, როგორც ამბობენ, გამოაცხადეს, თანახმა ვართ, მხარი დავუჭიროთ მთავრობის ყოველ მოქმედებას, რომელსაც იგი საჭიროდ დაინახავს წითელ ზღვაში ინგლისის გემის დაჭერის გამო. საზოგადოება „პენინსულარ ორიენტალ“-ი ირწმუნება, რომ „მალაკკა“-ზე იყო მხოლოდ 40 ტონნი სამხედრო მასალა, რომელსაც ინგლისის მთავრობა უგზავნიდა გონკონგის ნავთ-სადგურის სუპერინტენდანტს და არავითარი კონტრაბანდა ამ გემზე არ ყოფილაო. გამოირკვა, რომ სამხედრო გემებმა „სმოლენსკ“-მა და „პეტერბურგ“-მა, როგორც დარდანელის სრუტე, ისე სუეცის არხი, სავაჭრო გემის დროშით გაიარეს. ინგლისის ელჩმა ენერგიული პროტესტით მიჰმართა რუსეთის მთავრობას და თხოულობს, დაუყოვნებლივ დაგვიბრუნეთ გემი; რუსეთის მთავრობას არავითარი უფლება არა ჰქონდა დაეჭირა იგი, რადგან გემზე იყო ინგლისის მთავრობის საქონელი და არა კონტრაბანდა; ყუთებზე გარკვევით იყო დახატული ისარი, რომელიც წარმოადგენს ნიშანს, რომ საქონელი ინგლისის მთავრობას ეკუთვნისო. დასასრულ ინგლისის მთავრობა აცხადებს, რომ ამ საქმეს შეიძლება დიდად სამწუხარო შედეგი მოჰყვეს რუსეთისათვისაო.

ყველა გაზეთი კამათობს რუსეთის წინააღმდეგ ინგლისის პროტესტის შესახებ. „დეილი ტელეგრაფ“-ი ამბობს, რომ ლორდ ლანსდოუნმა ინგლისის ნდობა გაამართლა, რადგან მოქმედებს მტკიცედ და სწრაფად, რაც მოგვაგონებს უმაღლესის ენერგიის ხანას ინგლისის ნაციონალურ პოლიტიკაშიო. „დეილი გრაფიკ“-ი იმედს აცხადებს, რომ რუსეთის მთავრობა არ დააყოვნებს და გადასწყვეტს ამ საქმეს იმ ერთად ერთის გზით, რომლითაც შესაძლებელია ამ საქმის დასრულება. „დეილი ქრონიკლ“-ი ამბობს: „ცხადია, რომ კრეისერის „პეტერბურგ“-ის კაპიტანმა თავის მოქმედებით ერთობ დიდი შეცდომა ჩაიდინაო“. „მორნინგ პოსტ“-ი ამბობს: თუ ინგლისი მოითმენს „მალაკკა“-ს დაჭერას, ეს იმას მოასწავებს, რომ იგი თანახმაა 1871 წ. ლონდონის ხელშეკრულობის დარღვევისაო. „სტანდარდ“-ი სწერს: „ჩვენ ველით ამბავს, რომ რუსებმა გემი „მალაკკა“ დაუყოვნებლივ დაგვიბრუნოს, ხოლო თუ, სამწუხაროდ, ეს არ მოხდა, ინგლისი იძულებული გახდება შესაფერი ბრძანება გაუგზავნოს ხმელთა შუა ზღვაში მყოფ ინგლისის ესკადრის მთავარ-სარდალს.“

კაირი. („რეიტ. სააგ.“). რუსის მეზღვაურები „მალაკკა“-ზე დიდის თავაზით ეპყრობიან ინგლისელ მეზღვაურთ.

პორტ-საიდი. („რეიტ. სააგ.“). „მალაკკა“-ს დაჭერა გამოიწვია საიდუმლო ცნობებმა ანტვერპენიდან. ამ ცნობების თანხმად, „მალაკკა“-ზე უნდა ყოფილიყო სხვა-და-სხვა სამხედრო მასალა და ლითონის ნაწილები ქ. მოჯისთვის შეკვეთილ კრანისათვის. „მალაკკა“ პორტ-საიდში მოვიდა 7 ივლისს გათენებისას. უფროსმა მოითხოვა 400 ტონნი ქვანახშირი, 220 ტონნი სასმელი წყალი და შერბურგამდე სამყოფი სანოვაგე. თხოვნა ეგვიპტის მთავრობას წარუდგინა. ასეთი შემთხვევა წინად არასოდეს არა ყოფილა. სამხედრო დავლათ აღიარებული გემი პირველად გადის სუეცის არხში. ამბობენ, „მალაკკა“-ს ქვანახშირი სამყოფი ჰქონდა და არც სასმელი წყალი ეჭირვებოდაო. გემს შეეძლო იმავე დღეს გასულიყო ნავთსადგურიდან. „მალაკკა“ მოვიდა რუსეთის სამხედრო ფლოტის კაპიტანის უფროსობით; ამას გარდა გემზე იყო ოთხი აფიცერი და 45 მეზღვაური. ინგლისელი მეზღვაურები სამხედრო ტყვეებად არიან აღიარებულნი და მათ ნაპირზე არ უშვებენ. გემიდან გადმოსასვლელ კიბეს შეიარაღებული მეზღვაურნი დარაჯობენ. გემის უფროსმა ინგლისელმა პროტესტი განაცხადა რუსების ასეთ მოქმედების წინააღმდეგ, რისთვისაც რამდენჯერმე დაემუქრნენ—დაგატუსაღებთო.

ბერლინი. გერმანიის მთავრობამაც პროტესტი განუცხადა რუსეთს. რუსეთის მთავრობამ ამ პროტესტზე უპასუხა, რომ მას ჯერაც არ მიუღია ოფიციალური ცნობა გერმანიის გემის შეჩერების შესახებ და რომ არ დააყოვნებს გამოიძიოს საქმე და თავისი აზრი აცნობოს იმის შესახებ გერმანიასო. იმ საფოსტო ტომრების შორის, რომელიც „სმოლენსკ“-ზე გაარჩიეს და შემდეგ გემ „პერსიაზ“-ზე გადასცეს, ყოფილა აგრეთვე ინგლისისა და იტალიის საფოსტო ამანათები. ჯერ არაფერი არ იციან იმ ორ საფოსტო ტომრის შესახებ, რომელიც ნაგასაკში იგზავნებოდა და გემ „სმოლენსკ“-ზე დასტოვეს.

ადენი. ფრანგთა ამხანაგობის „მესაჟერი მარიტიმ“-ის გემმა წითელ ზღვაში რუსის დობროვოლნი ფლოტის გემებს „პეტერბურგ“-ისა და „სმოლენსკ“-ის წინ გაიარა ისე, რომ ამ გემებს არც-კი შეუჩერებიათ. არ შეაჩერეს აგრეთვე „პენინსულარ ორიენტალ“-ის ამხანაგობის გემი „პალავან“-ი.

ტოკიო. ხოკაიდოს კუნძულის პირ-და-პირ რუსის ესკადრამ ჩასძირა პატარა სავაჭრო გემი. მგზავრები და მეზღვაურნი გადარჩენილ იქნენ.

ტიანძინი. ნიუ-ჩუანიდან მიღებულ წერილის თანახმად, რუსის ნაღმიან გემის უფროსი იუწყება, რომ პეჩილიის ყურეში ნაღმი შემთხვევით ინგლისის გემს მოახვედრეო. ჰფიქრობენ, ეს გემი უკვალოდ დაკარგული „ხიპს ენგია“.

ლონდონი. („რეიტ. სააგ.“). 7 ივლისს რუსეთის ელჩს ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს ლანსდოუნთან. 8 ივლისს ელჩი გარეშე საქმეთა სამინისტროში კიდევ შევიდა მოსალაპარაკებლად. ამბობენ, გემის „მალაკკა“-ს გამო ჰქონდათ ლაპარაკიო. საღამოზე მოჰხდა მინისტრთა საბჭოს კრება.—ტიბეტიდან იუწყებიან, რომ ინგლისის ჯარი ხარის უღელტეხილს გადავიდა და ლხასიდან 92 ვერსის მანძილზე დაბანაკდაო. უღელტეხილზე გადასვლის დროს ტიბეტელებს მხოლოდ მცირე წინააღმდეგობა გაუწევიათ. ინგლისელების ზარალი უმნიშვნელოა.

მალტა. ნაღმიანი გემი „ვულკან“-ი, საკანონერო გემები „სპიდი“ და „ჰარი“ და კრეისერი „პირამუს“-ი წავიდნენ ინგლისის ესკადრასთან შესაერთებლად.

(დამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „მატენ“-ის სამხედრო კრიტიკოსი ამბობს: ჰფიქრობენ, მალე აუცილებლად დიდი ბრძოლა უნდა მოხდეს მანჯურიაშიო, მაგრამ არაფრიდან არა სჩანს, რომ გენ. კუროპატკინი დიდ ბრძოლას აპირობდეს. მალე ყველაფერი გამოირკვევა. („რ. ლ.“).

„მატენ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი ირწმუნება, ცხადია გენ. კუროკის არმია ფინხუანჩენიდან მომდტებულ ნაწილად ჩრდილოეთის გზით წავიდა მუკდენისაკენაო.

„სტანდარდ“-ი სწერს: ადმირალ ტოგოს ესკადრას, ეტყობა, ნიუჩუანთან, ან გაიჩოუსთან ჯარი გადაჰყავს და სურსათი გადააქვს, თორემ პორტ-არტურთან რომ იდგეს, რუსის სამხედრო გემები ნავთ-სადგურიდან ველარ გამოვიდოდნენო („რ. ს.“).

„მორნინგ პოსტ“-ს ატყობინებენ: ნაგასაკში (იაპონიაში) თოფის ქარხნები დღე და ღამ მუშაობენ. სამ თვეში 385 ზარბაზანი მოამზადეს სხვა-და-სხვა ყალიბისა. ყოველ დღე 200 თოფსა და 1,000 პატრონას ამზადებენო. („ბ. ვ.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის სამხედრო თანამშრომელს ცნობილ გრაფ რევენტლოვს საუბრის დროს, სხვათა შორის, უთქვამს „რუსკი ლისტოკ“-ის კორესპონდენტისათვის: იაპონელი სალდათი სჯობია რუსის სალდათსაო, უმთავრესად იმით, რომ იაპონელ სალდათს ტეხნიკური განათლება აქვს მიღებულიო.

ამას წინად ბრძოლის დროს იაპონელებმა რუსის ცნობილი გენერალი რენენკამფი დასჭრეს ფეხში. გენერალს თავის ნათესავებისათვის მოუწერია, კარგად ვარო. ექიმმა

ფარესოვმა დეპეშით შეატყობინა გენერლის ნათესავებს, იმედი მაქვს, გენერალი მალე მორჩება; მხოლოდ რამდენსამე ხანს საკაცით უნდა ატარონო. („ნ. დ.“).

რუსულ გაზეთებს ცნობები მოსდიოდათ სამხედრო მოქმედების ასპარეზიდან, ვითომ იაპონელები ცუდად, მხეცურად ექცეოდნენ ბრძოლის დროს დაჭრილ რუსებსაო. ბოლოს რუსული გაზეთები ამბობდნენ, ვითომ რუსეთის მთავრობამ ამ საქმეზე უცხოეთის სახელმწიფოებს ნოტაც მისწერაო. რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში ამის თაობაზე შემდეგი უთქვამთ „ნოვოსტი“-ს თანამშრომლისათვის: „მაგ საქმეზე სამინისტროს აქამდე არაფერი არ მიუწერია არც იაპონიის მთავრობისათვის, არც სხვა სახელმწიფოებისათვის. მართალია რუსულ გაზეთებში ბევრსა სწერენ იაპონელების მხეცობაზე, მაგრამ სამინისტრო ვერაფერს ითავებს, ვიდრე ოფიციალურ ცნობას არ მიიღებს მაგ საქმეზე. ეს ადვილი გასაგებიცაა. ყველამ კარგად იცის, რომ წარსულ ომების დროსაც მოწინააღმდეგეებს ყოველთვის ჩაუდენიათ ხოლმე მხეცობა; ასე ყოფილა ყოველთვის; მეომრები თვით „პირველ განათლებულ ევროპიელ და ამერიკელ ერთა ომების დროსაც-კი ჩადიოდნენ ცუდ საქმეებს და თავიანთ მოპირდაპირეებს ცუდად ექცეოდნენ. გაზეთების ცნობებიდან სჩანს, რომ იაპონელი ჯარის-კაცები მხოლოდ ათასში ერთხელ, განსაკუთრებულ შემთხვევაში მოჰქცევიან ცუდად დაჭრილ რუსებს. ამისთანა ხმებს ჯერ ექიმის თვალით უნდა შევხედოთ. საზღვარ გარედ გაზეთები ჩიოდნენ, ვითომ რუსის ყაზახები უდიერად, მხეცურად ექცევიან დაჭრილ იაპონელებსაო, მაგრამ ეს ცნობები რუსის ყაზახების ვითომ და მხეცობაზე აბა რა დასაჯერებელია. ისე იაპონელების უდიერობის თაობაზე ჯერ-ჯერობით მხოლოდ ხმები დადის. ეს ხმები ჯერ არავის არ შეუმოწმებია, არავის არ დაუმტკიცებია. ამ ხმებს რომ ყური არ ვათხოვოთ, ის-კი ნამდვილად ვიცით, რომ იაპონელები ტყვე რუსებს კარგად ექცევიან; ტყვეებს იაპონიაში არაფერი არ აკლიათ, კარგად უვლიან და საჭმელ-სასმელს უხვად აძლევენ. მტკიცე იმედი გვაქვს, რომ იაპონიის მთავრობა და ჯარის სარდლები ყოველ ღონისძიებას იხმარებენ და თავიანთ ჯარის კაცებს ცუდ ქცევასა და უდიერობას დაუშლიან. თუ ოფიციალურად შეგვატყობინებენ, რომ იაპონელები საზოგადოდ ყველანი ცუდად ექცევიან დაჭრილ რუსებსაო, მაშინ-კი სულ სხვანაირად მოიქცევა სამინისტრო, დაუყოვნებლივ ქაღალდს მისწერს იაპონიასა და სხვა სახელმწიფოებს და ყოველ ღონეს იღონებს, რომ იმის მეცადინეობას სასურველი შედეგი მოჰყვეს. („ნ.“).

გემ „პეტროპავლოვსკ“ზე დაღუპულ განთქმულ რუსის მხატვრის ვერეშჩაგინის კერძო წერილები დაიბეჭდა უცხოეთის გაზეთებში. განსვენებული მხატვარი სწერს ცნობილ ფრანგ მწერალ ჟიულ კლარეტის: შარშან იაპონიიდან რომ დავბრუნდი, პეტერბურგში წერილი მივსწერე, შევატყობინე, მალე საშინელი ომი ასტყდება-მეთქი, მაგრამ პეტერბურგის წრეებმა არ დამიჯერესო. („რ. ლ.“).

ბრძოლა მოდულინის უღელტეხილთან, 21 ივნისს. „ინდეპანდანს ბელჟ“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: 21 ივნისს რუსები იაპონელების პატარა რაზმს დაეცნენ მოდულინის (მოტენლინგის) უღელტეხილის მისავალთან. მეტად დიდი სისხლის ღვრა მოხდა. 36 იაპონელი ჩინელის სახლში იდგა გორის ახლო, ორ როტასაც სანგარს ახლო, გორაზე ეძინა. ეს გორა უღელტეხილის მისავალ გზას დაჰყურებს. რუსები ღამის 2 საათზე დაეცნენ იაპონელებს; ბნელი ღამე იყო, ნისლი იდგა. მე-10 და მე-24 პოლკების ორი ბატალიონი და 150 ყაზახი მივიდნენ და იაპონელებს გარს შემოეხვივნენ. ამას გარდა რუსებმა სანგრის პირდაპირაც დაიჭირეს პოზიცია. ჩინელის სახლთან საშინელი ბრძოლა დაიწყო. იაპონელები წამოხტნენ, შტიკებს წამოავლეს ხელი და რუსებს გულ-და-გულ ეცნენ. ორის საათის ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა რუსები გარეკეს. სანგარი და გორის ფერდოები მოკლულთა გვამებით მოიფინა, ბალახი და ქვები სისხლით შეიღება. („ნ. დ.“).

პორტ-არტური. ამას წინად დეპეშამ გვაცნობა, ვითომ იაპონელებმა 28 ივნისს პორტ-არტურზე იერიში მიიტანეს, მაგრამ რუსებმა უკუ-აქციეს და 30 ათასი კაცი მოუკლეს და დაუჭრესო. მართალია იაპონიის მთავრობამ ოფიციალურად უარ-ჰყო ეს ცნობა, მაგრამ რუსული გაზეთები დღესაც არ იშლიან და სწერენ, იაპონელებს 28 ივნისს დიდი ზარალი მოუვიდათ პორტ-არტურთანაო. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო თანამშრომელს ბ-ნ ს. კ. —ს არა სჯერა, რომ ეს ცნობა მართალი იყოს. ბ-ნი ს. კ. სწერს: „გენ სტესელის ოფიციალურ მოხსენებიდან სჩანს, რომ 26 ივნისამდე იაპონელებს ჯერ ბატარეები არა ჰქონიათ დადგმული პოზიციებზე. 26 ივნისიდან 28 ივნისამდე, ესე იგი ორს დღეში იაპონელები ვერ მოასწრობდნენ ბატარეების დადგმას, მაშასადამე ვერც ზარბაზანს დაუშენდნენ პორტ-არტურის სიმაგრეებს და აბა იერიშის მიტანას როგორ გაჰბედავდნენ მაგარ ციხეზე? ყოველთვის ისეა მიღებული, რომ ციხეს ჯერ ზარბაზანს დაუშენენ, დააზიანებენ და მხოლოდ ამის შემდეგ მიიტანენ იერიშს; ზარბაზნის დაუკლელად პირ-და-პირ იერიშის მიტანას ციხეზე ვერც ერთი გენერალი ვერ გაჰბედავს“.

იაპონიის ელჩს ვაშინგტონში უთქვამს „მორნინგ პოსტ“-ის კორესპონდენტისათვის: ის ცნობა, ვითომ იაპონელებს 28 ივნისს იერიშის დროს დიდი ზარალი მოჰსვლოდეთ, ტყუილი უნდა იყოს, თორემ ჩვენ უსათუოდ ცნობა მოგვივიდოდა ტოკიოდან. „ხაცუზე“ და „იოშინო“ რომ დაიღუპა, იმწამსვე შეგვატყობინეს. იაპონელებს პორტ-არტურთან ჯერ დიდი საალყე ზარბაზნები არც-კი დაუდგამთ. სანამ რამდენისამე დღის განმავლობაში ზარბაზანს არ დაუშენენ და სიმაგრეებს რიგზე არ მიანგრ-მოანგრევენ, პორტ-არტურზე იერიშს როდი მიიტანენ იაპონელებიო. („რ. ს.“).

იაპონელებმა პორტ-არტურს აპრილის გასულს გზა შეუკრეს, 13 მაისს ცინჩოუ აიღეს, 16 მაისს—დალნი და მას აქეთ თითონ პორტ-არტურის ციხესაც ალყა შემოარტყეს. ზოგი ელოდა, იაპონელები საცაა აიღებენ პორტ-არტურსაო, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა. ეტყობა, იაპონელებს თითონაც არა ნდომებიათ პორტ-არტურის საჩქაროდ შტურმით აღება. ესეთი განზრახვა რომ ჰქონოდათ, მეტ ჯარს მიიყვანდნენ პორტ-არტურთან; ივნისის გასვლამდე-კი იაპონელებს სულ 2 დივიზია ჯარი ედგათ ამ ციხესთან. გენ. სტესელის მოხსენებაში ეწერა, იაპონელებმა დალნიში კიდევ 20 ათასი კაცი გადმოიყვანესო. ამის თაობაზე „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო თანამშრომელი შენიშნავს: ამ ჟამად იაპონელებს პორტ-არტურთან სამი დივიზია ჯარი ანუ 65 ათასი კაცი ჰყავთ და 234 საველე ზარბაზანი აქვთ. ეხლა იაპონელები რიგზე შემოარტყამენ პორტ-არტურს ალყას და უფრო ბეჯითად მოეკიდებიან საქმეს. მაგრამ გაბედულ იერიშს მაინც მალე ვერ მიიტანენ, რადგან ძლიერ იერიშისა და შტურმისათვის 3 დივიზიაც არ ეყოფათო.

უცხოელი კორესპონდენტები ირწმუნებიან, იაპონელებმა პორტ-არტურთან დიდი საალყე ზარბაზნები მიზიდეს და 80 ათასი ჯარის-კაცი მიიყვანეს, ასე რომ ამ მოკლე ხანში უსათუოდ მედგარ იერიშს მიიტანენ პორტ-არტურზეო.

ერთ გამოჩენილ ფრანგ გენერალს უთქვამს გაზ. „პატრი“-ს თანამშრომლისათვის: იაპონელებმა დიდი საალყე ზარბაზნები მიიტანეს პორტ-არტურთან. იაპონელმა მზვერავებმა წინადვე ყველაფერი გაიგეს და კარგად შეისწავლეს, რომელი ბატარეია სად უდგათ რუსებს. ამ ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს; იაპონელები უფრო კარგად დაუმიზნებენ ზარბაზანს და რუსის ბატარეებს უფრო ძლიერ დააზიანებენ. სანამ იაპონელები პორტ არტურიდან 12—15 კილომეტრის მანძილზე პოზიციებს არ დაიჭერენ და პორტ-არტურს რიგზე ასაფეთქებელ ყუმბარებს არ დაუშენენ, რუსის ციხეს არა უჭირს-რა. 12—15 კილომეტრის სიშორეზე ზარბაზანი კარგად უწევს. მაგრამ თუ მარჯვე პოზიციების დაჭერას მოახერხებენ და პორტ-არტურს სეტყვასავით ყუმბარას დააყრიან, მაშინ იაპონელები მალე აიღებენ ციხეს და არც დიდი ზარალი მოუვათ. ასე რომ საალყე ზარბაზნები უმთავრეს როლს ითამაშებენ პორტ-არტურის აღების დროს; ამიტომ იაპონიის არსენალებს დიდ-ძალი ყუმბარა უნდა ჰქონდეთ დამზადებული... („რ. ლ.“).

„დეილი ექსპრეს“-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება: პორტ-არტურიდან მოსულმა ჩინელებმა ილაპარაკეს ჩიფუში: ეტყობა, იაპონელები მალე მიიტანენ პორტ-არტურზე იერიშსაო. ადმირალ ტოგოს სასებოდან ბევრი გემი მოაშველეს. პორტ-არტურთან იაპონელებს 150 ათასი კაცი ეყოლებათ; ხმელეთსა და გემებზე 100-ზე მეტი დიდი ზარბაზანი უდგათო. („ბ. ვ.“).

ავსტრიულ პრესის აზრი სამხედრო მოქმედების ვითარებაზე. ავსტრიის პრესა დიდის ინტერესით ადევნებს თვალ-ყურ რუსეთ-იაპონიის ომს: „ნ. ფრ. პრესე“ შენიშნავს: გენ. ოკუმ გაიჩოუ დაიჭირა; გენ კუროკიც ამ დროს ლიაოიანს მიუახლოვდა მალე უსათუოდ დიდი ბრძოლა მოხდება თუ ამ ბრძოლის დროსაც ბედმა უმტყუნა რუსებს, მაშინ ახალ მაშველ ჯარის ჩაყვან დასჭირდებათ რუსეთიდან და ზამ სამხედრო მოქმედება შედგებაო.

„ვინერ ტაგებლატ“-ი შენიშნავს დია, იაპონელებს სრული გამარჯვება დიანთ. ამიტომ მალე გენ. კუროპატკინ ჯარს შეებრძოლებიან. თუ აქაც გაიმარჯვე სამხრეთი მანჯურია ვიდრე მუკდენამდე იაპონელებს დარჩებათ. მარშალი ოიამა მან ჯურიაში მოვიდა; აქედან სჩანს, რომ მალე დიდი ბრძოლა მოხდება.

„მორგენ ცაიტუნგ“-ი სწერს: გაიჩოუ აღებით, იაპონელები მთელ ლიაოდუნ ნახევარ-კუნძულზე გაბატონდნენო. მალე ნიუ ჩუანიც ხელიდან წაუვათ რუსებს. ნიუ-ჩუ ნისა და იმის მიდამოების დაჭერას მეტა დიდი მნიშვნელობა ექნება. მაშინ იაპონ ჯარი ჩინეთის ჯარს დაუახლოვდება. ასეთ მეზობლობა მაგრე რიგად სასიამოვნო არ უნდა იყოს გენ. კუროპატკინისათვის.

„ვინერ ექსტრაბლატ“-ი ამბობს: გაიჩო აღების შემდეგ, იაპონელებს სამხედრო საკვები სურსათი პირდაპირ ზღვით მოუვა ამას გარდა გენ. კუროპატკინს პორტ-არტურიდან ამბების მიღება უფრო გაუჭირდებაო. („პ. ვ.“).

ახალი ამბავი

◆ **ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლ ინსპექტორმა,** ბ-ნმა თაყაიშვილმა, თანამდ ბობას თავი დაანება. როგორც ნამდვილ გავიგეთ, სკოლის კომიტეტს დაუდგენ ინსპექტორად მოიწვიოს ყველასგან პატ ცემული პროფესორი ვასილ პეტრიაშვილ

◆ როგორც გაზ. „კავკ.“-ის წვრილ ბებშია აღნიშნული, **ქართულ-დრამატიუ საზოგადოების კრება** დაუნიშნავთ 23 ლისისათვის. არ ვიცით, რამდენად მარ ლია ეს ამბავი. წესდების ძალით, უს ორის კვირით ადრე უნდა გამოცხადდ ბის დანიშვნა. საზოგადოების გამგეობას დღემდე არც ერთ გაზეთში არაფერი არ მოუცხადებია.

◆ როგორც გვატყობინებენ, 6 ივლი დილით, **ქუთაისში შემდეგი ამბავი** მოხ ჭიათურიდან მიჰყავდათ 3 ივლისს დაპატიმ ბულნი, რიცხვით ხუთი კაცი. დაპატიმრებუ ნი ქუთაისში ჩაატარეს ტფილისის ქუჩაზე. სადაც ფოსტის ქუჩა იწყება, ოთხ საპო ციო დარაჯს, რომელნიც დაპატიმრებუ მისდევდნენ, თავს დაეცა რევოლვერით ხე ში ოთხი ვიღაც უცნობი კაცი. ატ სროლა, რომლის დროსაც მოკლულ ერთი თავდამსხმელი, გვარად ლეჟავა, ს დიდ-ჯიხაიშის მცხოვრები. მეორე, მოკ ლის ამხანაგი, დაიჭრა. ორი დარაჯი ტყ გაკაწრა. ამ არეულ-დარეულობის დრ ორმა დაპატიმრებულმა გაქცევა მოახერხ

ფელეტონი

—

წერილები გერმანიიდან

II

ქალთა საერთაშორისო კონგრესი

მკითხველს უთუოდ მოეხსენება, რომ ამ სამი კვირის წინად ბერლინში მოხდა ქალთა მეორე საერთაშორისო კონგრესი. ამ კონგრესს დიდი სააგიტაციო მნიშვნელობა ჰქონდა ქალთა საკითხისათვის: მან აალაპარაკა მთელი ევროპის საზოგადოება და პრესსა, ამოადებინა ხმა ქალთა დასაცველად მძინებულ კონსერვატორებსაც-კი და მით ერთხელ კიდევ დაუმტკიცა კულტურულ კაცობრიობას, რომ ქალთა საკითხი ერთი უდიდესი პრობლემაა, რომლის ასე თუ ისე გადაწყვეტა ახლო მომავლის საქმეა. საზოგადოების ყველა წრესა და კლასში გაცხარებული მსჯელობა იყო კონგრესსისა და, საზოგადოდ, ქალთა საკითხის შესახებ, საზოგადოების ყველა ჯგუფი გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს ქალთა ბაასს და კამათს. ეს კამათი ბევრს სამუდამოდ დაარწმუნებდა, რომ ქალებს მამაკაცებზე არა ნაკლები უნარი აქვთ, რომ იმათი კრებებიც საყურადღებო და საინტერესოა. როგორც დაწვრილებით გააცნობით კონგრესის [illegible] კიდევ უფრო დარწმუნდებით, რომ ეს აზრი ჭეშმარიტებაა, კიდევ უფრო იგრძნობთ, რომ ქალთა საკითხი მართლაც დიდი სერიოზული პრობლემაა, რომლის ბედი კაცობრიობის ბედ-იღბალთან მჭიდროთაა დაკავშირებული.

როგორც მოსალოდნელი იყო, კონგრესს დაესწრნენ მრავალ საზოგადოებათა წარმომადგენელნი ყველა კულტურულ ქვეყნიდან. იყვნენ როგორც შორეულ ამერიკასა და ავსტრალიიდან, ისე ევროპის ყველა სახელმწიფოდან. დამსწრეთა და მოლაპარაკეთა რიცხვი ისე დიდი იყო, რომ თავმჯდომარე იძულებული გახდა განკარგულება მოეხდინა, რომ თვითეულ ორატორს ათ წუთზე დიდხანს არ ელაპარაკა. დამსწრეთა ასეთი აუარებელი რიცხვი იმის ნიშანი იყო, რომ კონგრესი ნაყოფიერად იმოქმედებდა, რომ ქალთა საქმეს იგი წაუშლელ კვალს დაასენდა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ კონგრესზე ყველა პოლიტიკურ დასის მიმდევარნი იღებდნენ მხურვალე მონაწილეობას, როგორც რადიკალ-სოციალ-დემოკრატები, ისე ლიბერალები და კონსერვატორები. ამიტომ, როგორც ქვემოდ დავინახავთ, მათ შორის ხანდისხან უთანხმოება და დისჰარმონია სუფევდა, მაგრამ უმეტესს შემთხვევაში აზრთა სხვა-და-სხვაობა ნაკლებად სჩანდა. ცხადი იყო, რომ ყველასათვის ერთნაირად ძვირფასი იყო საერთო საქმე, ცხადი იყო, [illegible] რომ ყველას აერთებდა ერთი უმთავრესი იდეა.

კონგრესს უნდა გამოერკვია და გამოეთქვა თავისი აზრი შემდეგ უმთავრესს საკითხთა შესახებ: ქალთა განათლება, ქალთა მოწოდება, სოციალური დაწესებულებანი და მისწრაფებანი და ქალთა უფლებრივი მდგომარეობა. როგორცა ჰხედავთ, ეს საკითხები საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი საკითხებია, მათი ასე თუ ისე განწესრიგება მოასწავებს სოციალურ განწყობილებათა ასე თუ ისე გარდაქმნას. ამიტომ ფრიად საყურადღებოა ვიცოდეთ, როგორ შეჰხედეს ამ მწვავე საკითხებს „მშვენიერ სქესის“ წარმომადგენლებმა; საინტერესოა, ვის და რას იცავდა ქალთა საერთაშორისო კონგრესი.

თავისდა თავად ცხადია, რომ სწავლა-განათლების საქმის რიგიანად მოწყობა კაცობრიობისათვის დიდ მნიშვნელოვანი რამ არის; ცხადია, რომ იმისგან თითქმის მთელი ჩვენი ცხოვრებაა დამოკიდებული. თავისუფალ ქვეყნებში ამ საქმეზე დიდი ყურადღებაა მიქცეული; თვით მთავრობაც კი ცდილობს ამ მხრივ გააკეთოს რამე. არც უნდა გვიკვირდეს ეს, რადგან იმას სახელმწიფოს არსებით ინტერესებზე დიდი გავლენა აქვს, რადგან შეუძლებელია თანამედროვე ეკონომიური ცხოვრება, თუ ხალხში სწავლა-განათლება არ არის გავრცელებული. ამ ანბანურ ჭეშმარიტებას [illegible] ყველა კარგად ჰხედავს, თუ რა შეუძლიან ნას, რა სასწაულის მომქმედია იგი ომის საც-კი. ასეთი დიდმნიშვნელოვანი საქმეა სწავ განათლების საქმე საზოგადოდ. ქალთა განათ ბა კი უფრო დიდ როლს თამაშობს კაცობრ ბის ცხოვრებაში, რადგან წარმოუდგენელია, გაუნათლებელი ქალი რიგიანი დედა გამოდ რადგან უმისოდ შეუძლებელია აღმზრდელობ ვისი უმთავრესი მოწოდება რიგზე შეასრუ დედები ზრდიან ნორჩ ახალთაობას. ისინი ტო ძუძუს კი არ აწოვებენ, ისინი ჰქმნიან სულიერ ფიზიონომიასაც. ქალი-აღმზრდ წარმოუდგენელია, თუ არ იცის ბავშვის ფს ლოგია, ბავშვის სულიერი ვითარება. სწ ამიტომ არ შეუძლიან ასეთ დედას შვილის გიანად აღზრდა და ცხოვრებისათვის მომზა ეს დღეს ყველგან საანბანო ჭეშმარიტ ბნეული და ორი აზრი ამის შესახებ შეუძ ბელია.

როგორც მოსალოდნელი იყო, კონგრ ერთხმად აღიარა ქალთა განათლების გავრც საჭიროება. იმის აზრით, განათლებამ და რაც ლურმა აღზრდამ უნდა გაანთავისუფლოს სქესი ამდენისხნის მონობისაგან; მხოლ საშუალებით მოემზადებიან ისინი საბრძოლ ადამიანურ უფლებისათვის. კარგი აღზრდა ბა კაცს ქალების ბრძოლის სარბიელს, გაუ

ორი კაცი იმათგანი, რომელნიც თავს დაეცნენ, ბალახვანის ჩუქისკენ გაიქცნენ, მაგრამ მალე დაიჭირეს ივლ. ანჯაფარიძის სახლის ეზოში. 15 წუთის შემდეგ იმ ადგილას, სადაც ეს ამბავი მოხდა, გაჩნდნენ გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, პროკურორი, პოლიცმეისტერი და სხვანი. და[illegible]ლნი სამხედრო საავადმყოფოში გაგზა[illegible]

◆ გზათა სამინისტრომ შეიწყნარა ამიერ-კავკასიის რკინის გზის შუამდგომლობა თვეში 350 მანეთის გადადების შესახებ. ეს ფული საჭიროა **ხოლერის საწინააღმდეგო ზომების** მისაღებად. რკინის გზის გამგეობამ მთელი გზა 16 ნაწილად გაჰყო და მცირე კომისიები დანიშნა.

◆ როგორც გვატყობინებენ, 7 ივლისს სოფელ სურებში (გურია) ვიღაც ბოროტ-განმზრახველებს **მოუკლავთ ბლალოჩინი რამიშვილი.**

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას 8 ივლისს სხდომა ჰქონდა იმის გამოსარკვევად, თუ **რომელ სისტემის ფარანი სჯობია** ქუჩებსა და მოედნებში დასადგმელად. გამგეობამ მოიწვია ტეხნიკოსნიც. რადგან ტეხნიკოსებმა საუკეთესოდ სცნეს ვაშინგტონისა, გალკინისა და სვეტის ფირმების ფარნები, გამგეობამ დაადგინა შეიძინოს ამ ფირმებისაგან საჭირო ფარნები იმ 30,000 მანეთით, რომელიც ქალაქსა აქვს გადადებული.

◆ რადგან ყოველთვის არიან ხოლმე მგზავრები, **მიმავალნი ჭიათურაში** ჩქარ მატარებლით № 1 და № 2, ამისათვის მიმოსვლის უმფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ შორაპანში ჭიათურას წასავლელად მატარებლებს №№ 346 და 351 ყოველთვის მოებას ხოლმე ვაგონები ერთი მეორეს და ერთიც მესამე კლასისა.

◆ 6 ივლისს გორში ჩხუბი მოუვიდათ ივანე და კონსტანტინე დონდაროვებს და თავ. ალექსანდრე ბექთაბეკოვს. ერთმანეთს რევოლვერები ესროლეს, მაგრამ ტყვიები აცდინეს. როდესაც მოჩხუბრები პოლიციაში მიიყვანეს, დონდაროვებმა სიტყვითა და მოქმედებით შეურაცხება მიაყენეს ბოქაულს თავ. ავალიშვილს და პოლიცეიჯებს.

◆ ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილე შეეკითხა სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს, რა მიზეზია, რომ მოსწავლე ხელოსანთა მიერ დამზადებულ საქონლის შემოსავალმა იკლო და მასალის შესაძენ ხარჯმა კი იმატა. დირექტორმა გუშინ აცნობა მოურავს, რომ $190^{1}/_{2}$ სამოსწავლო წლიდან სახელოსნო სასწავლებლის პრაქტიკულმა მეცადინეობამ სხვა მიმართულება მიიღო. ამ წლამდე მოსწავლენი დიდს დროსა და შრომას ანდომებდნენ კერძოდ დაკვეთილ ნივთების დამზადებას და შემოსავალიც დიდი იყო. 1900 წელს კავკასიის გამოფენის დროს სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით შემდგარმა კრებამ საპროფესიონალო სასწავლებლების უფროსებისამ პედაგოგიის მხრივ მავნებლად იცნო კერძო სამუშაოებით მოსწავლეთა ხელობის სწავლება და კიდეც შეიმუშავა სისტემატიური პროგრამა სახელოსნო სასწავლებლებისათვის. რადგანაც ეს პროგრამა ტფილისის სახელოსნო სასწავლებელსაც გადმოეცა, იძულებული შეიქნა კერძო სამუშაოები აღარ მიეღო. აი, ამან გამოიწვია შემოსავლის დაკლება. რაც შეეხება მასალაზე ბევრის ფულის დახარჯვას, დირექტორმა აცნობა მოურავის მოადგილეს, რომ როცა მან მიიღო დირექტორის თანამდებობა, სასწავლებელზე დიდი ვალი იყო. 1903 წელს 8000 მან. იყო გადადებული მასალების შესაძენად, მაგრამ დამატებით ხარჯთ-აღრიცხვით 3190 მან. მოვითხოვეთ ძველის ვალის გასასტუმრებლად. ამ წლის შემდეგ მასალაზე მეტი ხარჯები აღარ მოგვივათ.

◆ 4 ივლისს, ღამე, კახეთში შაქრიანის ხიდის მახლობლად შეიპყრეს დავით ლაფაური და არტემ მელაშვილი, რომელთაც, შეიარაღებულთ, განიზრახეს შაქრიანის ხიდის ამშენებლის რწმუნებულის მაკებოვსკის თავდასხმა და გაქურდვა. შეიპყრეს როგორც ესენი, ისე კურდღელაურის მცხოვრებნი საბა ბებოშვილი და გიო ოთარაშვილი. ლაფაური და მელაშვილი სხვა ქურდობაშიაც შეუმჩნევიათ.

◆ 7 ივლისს, ნაშუაღამევის 1 საათსა და 30 წუთზე, ვოდოპროვოდნი ქუჩაზე მცხოვრებ ამიერკავკასიის რკინის გზის მემანქანის ნიკოლოზ კაზანსკის სახლს ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი მსწრაფლ მოსდებია ერთ სართულიან შენობას და რამდენისამე საათის შემდეგ გადამწვარა. ცეცხლის გაჩენა მალე შეუტყვიათ და მძინარე ხალხი უბედურებას გადაურჩენიათ.

◆ როგორც ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორის მიერ ქალაქის გამგეობაში წარდგენილ ცნობებიდანა სჩანს, სახელოსნო სასწავლებელს ამა წლის 1 იანვრისათვის მასალა ჰქონია 7376 მანეთისა 64 კაპ. და დამზადებული ნივთები 3436 მანეთისა, სულ 10,812 მან. 97 კაპ. ნივთები.

◆ ნავთლუღში მცხოვრებ გეურქ ავეტისოვის სახლი გაუტეხია ვიღაც ბოროტ-გამზრახველს და გაუტანია სახლის პატრონის ნივთები. ეჭვი მიუტანიათ ტფილისში მცხოვრებ გიგო დანელიაზე და დაუპატიმრებიათ.

რუსეთის ქრონიკა

◆ მოსკოვის საერობო წრეებში ხმა დადის, შესაძლებელია მოსკოვის ერობის რეფორმა მოხდესო. საგუბერნიო ერობას გააუქმებენ და სამაზრო ერობათა მოქმედებას უფრო ვრცელ და დამოუკიდებელ ასპარეზს გაუხსნიანო. მაშინ ქ. მოსკოვი განცალკევებულ იქნება და სამაზრო ერობის მზგავსი უფლებანი მიენიჭება.

◆ „ნოვ. ვრ.“-ია იუწყება, რომ ციმბირის ოქროს მადნებში მუშათა შორის ამ ბოლო დროს გახშირდა არეულობანიო. ადგილობრივ გაზეთების აზრით, საჭიროა გამოირკვეს ამ არეულობათა მიზეზი და მუშების მდგომარეობაო.

◆ ქ. ადესის ქუჩებში გაკრულია რუსულ და ებრაულ ენაზე დაბეჭდილი შემდეგი განცხადება ქალთა მფარველ ადგილობრივ საზოგადოებისა: „ქალებო, ფრთხილად იყავით! სტამბოლში მყოფ რუსეთის კონსულისაგან ცნობა მოვიდა, რომ უნდა მოერიდოთ შუამავლებს, რომელნიც სტამბოლში და საზოგადოდ საზღვარ გარედ ადგილისა და სამუშაოს შოვნას გპირდებიან. მათი ფარული მიზანი—საროსკიპო სახლებში თქვენი შეტყუებაა“.

◆ „ბირჟ. ვედ.“-ი იუწყება, რომ განსაკუთრებულმა კომისიამ ქალაქის გამგეობის საქმეების რევიზია მოახდინა და ბევრი ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინა, რომელიც ეხება საქალაქო გადასახადების აკრეფას. კომისია შუამდგომლობს გუბერნატორის წინაშე, რათა დამნაშავენი სამართალში იქმნან მიცემულნი.

◆ პეტერბურგიდან ჰგზავნიან სამხედრო სამკურნალო აკადემიის სტუდენტების ჯგუფს სპარსეთში ხოლერასთან საბრძოლველად.

◆ გაზ. „კიევლ.“-ს სწერენ ქ. კრემენჩუგიდან, რომ ადგილობრივ თეატრში შემდეგი სამწუხარო შემთხვევა მომხდარა. არტისტების დასს დაუდგამს ჩეხოვის ცნობილი პიესა „სამი და“. პოლკოვნიკ ვერშინინის როლს თამაშობდა არტისტი გორბაჩევსკი, რომელსაც ადგილობრივ საარტილერიო კამანდირის მუნდირი ეცვა. თეატრში დამსწრე სამხედრო უფროსს ამ ნაირად გამოწყობილი არტისტი რომ დაუნახავს, კულისებში შესულა და მოუთხოვია, არტისტმა მუნდირი უნდა გაიხადოსო. არტისტებს პროტესტი გამოუცხადებიათ; სამხედრო უფროსს ჩხუბი აუტეხია, ხმალი ამოუღია, მაგრამ ვერაფერს გამხდარა. არტისტებს ძალად გამოუგდიათ კულისებიდან და გამოუცხადებიათ სცენიდან, სამხედრო უფროსის თავხედობის გამო იძულებულნი ვართ, წარმოდგენა შევწყვიტოთო.

◆ საერო განათლების სამინისტრომ აცნობა მოსკოვის სამოსწავლო ოლქის უფროსს, რომ პირველ დაწყებით სკოლებთან საჯარო წიგნთ-საცავების გასახსნელად საჭიროა ადგილობრივ სამოსწავლო მთავრობის ნებართვა და არა ცენტრალურ დაწესებულებათა, როგორც აქამდის იყო.

◆ ყაზანის ერთ დიდ სასტუმროში შემდეგი არაჩვეულებრივი საგულისხმიერო განცხადებაა თურმე გაკრული: „სტუდენტებისა და როსკიპ ქალებისათვის გასაქირავებელი ოთახები არა გვაქვს“-ო.

◆ პეტერბურგის ქალაქის გამგეობამ სავალდებულო დადგენილება გამოსცა მაღაზიების პატრონებისათვის, რომლის ძალით უკანასკნელნი მოვალენი არიან ისე მოაწყონ ელექტრონით განათება, რომ მცხოვრებელთა თვალებს არ ავნონ.

პრესსა

გუშინ მოყვანილი გვქონდა ამბავი „ღმერთის“ აღმოჩენის შესახებ კალმიკთა შორის. იქვე აღნიშნული იყო პეტერბურგის გაზეთების შენიშვნა, რომ ციმბირის ხალხთა შორის ცრუმორწმუნოების გავრცელებას ხელს უწყობს უმეცრება, რომელიც იქ ჰსუფევს ჩვენის დაუდევრობის გამოო. თითქო ამის დასასურათებლად, გაზეთებს მოჰყავთ დღეს ცნობები ციმბირის არა რუსთა შორის არსებულ სკოლების შესახებ. უპირველესად ყოვლისა აღნიშნავენ, რომ სკოლების რიცხვი იქ ერთობ მცირეა და შემდეგ ამტკიცებენ, რომ ეს სკოლებიც უვარგისია: ხალხი ვერ შეიჩვიეს, ვერაფერს ასწავლიან, ხალხის ნდობა ვერ დაიმსახურეს, რადგან სკოლები ადგილობრივ მოთხოვნილების თანახმად არ არიან მოწყობილნიო; სკოლებში სწავლის საქმე ვერ არის ნორმალურ პირობებში ჩაყენებული,—ისეთ პირობებში, როგორიც არა რუსთა სკოლაში უნდა იყოსო და სხვა. სხვათა შორის, გაზეთებს მოჰყავთ ერთის სკოლის აღწერილობა, დაბეჭდილი ოფიციალურს „ჟურნალ მინისტ. ნაროდ. პროსვეშჩენია“-ში. აღწერილობის ავტორისათვის, ბ. ალექტოროვისთვის, შემდეგი უამბნია ერთ სოფლის მასწავლებელს:

— მე ვმასწავლებლობდი ბაშკირთა სოფელში. ვცხოვრობდი არხეინად. დავკეტავდი სკოლას და წავიდოდი ტყეში სანადიროდ. მთელი თვეობით ვნადირობდი. ხანდახან შევიდოდი ბაშკირის ქოხში, ვსვამდი და ვჭამდი და ისევ ნადირობას შევუდგებოდი. ნამეტურ მომწონდა შუა შემოდგომაზე ნადირობა, მაგრამ ზამთარშიაც კარგი იყო კურდღელზე, მელიაზე და ტყის ქათმებზე ნადირობა!

ასე მიამბობდა მასწავლებელი გუსევი თავის ცხოვრების შესახებ ბაშკირიაში. ხოლო როცა გაკვირვებული შევეკითხე სკოლის შესახებ, მაშინ მიპასუხა:

— სკოლა თავისთვის იყო და მეც ჩემთვის ვიყავ; კაცი არაფერს მკითხავდა. მხოლოდ შარშან შემოდგომაზე ასეთი ამბავი მოხდა: ჩამოვიდა სოფელში საოლქო ინსპექტორი კატარინსკი და იკითხა:

— სადაა სკოლა?

— აი, აგერ! უპასუხა ერთმა მოხუცებულმა სოფლელმა, ბაშკირმა.

— მასწავლებელი სადღაა?

— სანადიროდ წავიდა... ბევრ ჩიტსა ხოცავს...

— მოწაფეები?

— მოწაფეები არა ჰყავს...

ბ-ნ კატარინსკიმ უბრძანა სოფლელებს დაეძახნათ წინანდელ მოწაფეებისათვის და თვითონ სკოლისაკენ გასწია. გაალებინა ოთახი და შევიდა; ცხადათ ეტყობოდა, რომ სკოლაში რამდენიმე თვეა ადამიანს ფეხი არ შეუდგამს: ყველაფერი დამტვერიანებულიყო და ტალახი და სიბინძურე ჰსუფევდა. აქა-იქ წიგნები ეყარა... მალე შემოვიდა ერთად-ერთი მოწაფე. ეს იყო იმავ დროს სკოლის დარაჯი და ძლივს ორიოდე სიტყვა იცოდა რუსული. საოლქო ინსპექტორი მიუბრუნდა „მოწაფეს“ და ჰკითხა:

— რა გქვიან?

— აბდურახმან.

— კითხვა იცი?

— არა.

— წერა!

— არა.

— თვლა?

— არა.

— დიდი ხანია სწავლობ?

— არა.

— რამდენის წლისა ხარ?

— არ ვიცი.

— რამდენი მოწაფე-ამხანაგი გყავს?

— არ ვიცი.

და ასე ყველა დანარჩენ კითხვებზე ჩემმა „მოწაფემ“ „არ ვიცი“-ს მეტი ვერაფერი უპასუხა ბ-ს ინსპექტორს.

გაზეთ „რუს“-ს მოჰყავს ეს სურათი და სამართლიანად დასძენს: რასაკვირველია, ასეთის სკოლების მეოხებით ჩვენ სწავლა-განათლებას ვერ გავავრცელებთ არა-რუსთა შორის და მათ ნდობას ვერ დავიმსახურებთო.

⁂

ბრძოლისათვის საჭირო ძალას; ამრიგად შეუძლიანთ მამაკაცებთან უფლებრივად გათანასწორება. შვილის აღზრდისათვის სპეციალური განათლებაა საჭირო, მხოლოდ ასეთის განათლებით აღჭურვილ დედებს შეუძლიანთ მოგვცენ ნამდვილი, სულით მთელი პიროვნება, მხოლოდ ასეთები შეასრულებენ პირნათლად წმინდა მოვალეობას. რაც შეიძლება მეტი შეგნება, რაც შეიძლება მეტი თვითცნობიერება და დამოუკიდებლობა—აი, საუკეთესო საშუალება, კონგრესისტების აზრით, ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, აი რა მოასწავებს ქალთა მოძრაობის საბოლოო მიზანს. ჩვენ გვსურს ქალთა სქესის ეკონომიური და გონებრივი გათანასწორება, ჩვენ გვსურს ქალის პიროვნებაც თვით მიზანი იყოს და არა უბრალო საშუალება და სათამაშო ნივთი,—ამბობდნენ ისინი,—ამისათვის-კი საჭიროა ბრძოლა, საჭიროა მებრძოლ რაზმის გათვითცნობიერება, მისი გონებრივი მომზადება. სწორედ ამიტომ კონგრესისტები თხოულობენ ქალთა შორის სწავლა-განათლების გავრცელებას. საკითხის ასე ფართოდ განმარტება მხოლოდ სიამოვნებას ჰგვრის ადამიანს.

ნათლად სჩანს, რომ განათლება მართლაც დიდმნიშვნელოვანი რამ ყოფილა, რომლის შესახებ ყველანი, მიმართულების მიუხედავად ერთის აზრისანი არიან. თანამედროვე პირველ დაწყებითი სკოლა არ აკმაყოფილებს კონგრესისტებს. იმათის აზრით, საჭიროა სწავლის გაგრძელება, რომ ქალებმა სერიოზული ცოდნა შეიძინონ, ხოლო ამისათვის საჭიროა სხვა ტიპის საზოგადო განათლებისა და სპეციალურ სკოლების დაარსება და გამრავლება. ამ სკოლებმა უნდა შესძინონ ქალებს გონებრივი საზრდო და ამავე დროს პრაქტიკულ ცხოვრებაშიც სარგებლობა მოუტანონ.

დიდი ყურადღება მიაქციეს აგრეთვე საკითხს ორივე სქესის ერთად სწავლის შემოღების შესახებ. მკითხველს, ალბად, მოეხსენება, რომ ამერიკასა და ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში ასეთი წესი დიდი ხანია შემოიღეს, რამაც მხოლოდ კარგი ნაყოფი მოიტანა: შეაჩვია და დაახლოვა სულიერად ერთმანეთს ორივე სქესი, განავითარა მათში მეტად გულწრფელობა და პატივის ცემა. გერმანიაში ასეთი სკოლები ძლიერ ნაკლებადაა გავრცელებული. ფინლიანდიაში კი ამნაირ ტიპის პირველ დაწყებითი სკოლა 45-ია. კონგრესმა სასურველად სცნო ასეთის სკოლების გამრავლება. რადიკალი კონგრესისტები დიდ პროტესტს აცხადებდნენ იმ სამწუხარო მოვლენის გამო, რომ ხშირად სკოლებში ანცალკევებენ დარიბ და მდიდარ ბავშვებს. ეს გარემოება დიდ უფსკრულს აგდებს მათ შორის, და ამიტომაც იმათ უმეტეს შემთხვევაში ერთმანეთისა არა გაეგებათ რა. საჭიროა მათი დაახლოვება, სასურველია ამ ანომალიის სამუდამოდ მოსპობა მოქალაქობრივ ცხოვრებისათვის, რადგან მომავალში, როდესაც ისინი საზოგადოების სრულწლოვანნი წევრნი გახდებიან, ეცოდინებათ ერთმანეთის მდგომარეობა, ეცოდინებათ ერთმანეთის ყოფა-ცხოვრება. სკოლაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი კლასობრივ განხეთქილებას, ბავშვთა ნორჩი, ნაზი ბუნება მოშორებული უნდა იყოს ასეთ არა სასიამოვნო მოვლენას. სკოლა საერთო კუთვნილებაა და ამიტომ იქ ყველას, განურჩევლად წოდებისა და შეძლებისა, ერთნაირი უფლება უნდა ჰქონდეს. ამბობენ, ვითომ დარიბები ცუდ გავლენას იქონიებენ შეძლებულთა შვილებზეო. ყალბი აზრია, რადგან უმეტესს შემთხვევაში პირველნი ზნეობის მხრივ სრულიადაც არ ჩამორჩებიან ნაზად აღზრდილ არისტოკრატებს.

ამ ნაირად გადასწყვიტა ქალთა კონგრესმა ეს სერიოზული საკითხი. ამ დროს ნაკლებად ისმოდა სხვა-და-სხვა აზრთა შეტაკება, მიმართულებათა სხვა-და-სხვაობა თითქმის არა სჩანდა. ვნახოთ, როგორ ასწონ-დასწონა მან კიდევ უფრო სერიოზული, კიდევ უფრო მწვავე ეკონომიური საკითხება, რა თვალით შეხედა ქალთა სოციალურ მდგომარეობას.

ამ შემთხვევაში კონგრესს უნდა გამოერკვია ქალთა სქესის სოციალური მდგომარეობა და საჭირო საშუალებანი ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ კაპიტალიზმის განვითარებამ ყველგან ქალთა შრომასაც მოუპოვა ბაზარი, რომ ახალ მეურნეობის ხანამ დაარღვია ძველი პატრიარქალური ოჯახი და მით დარიბ ქალთა დიდი უმრავლესობა დღიურ მუშად გახადა. ოჯახურ მოთხოვნილებათა და სახელმწიფო გადასახადთა ზრდამ და სხვა ამ გვარმა სოციალურ-ეკონომიურმა მიზეზებმა აიძულეს დედაკაცი, თავის კერა მიეტოვებინა და ქარხანაში ან სოფლად მუშა მამაკაცს გვერდში ამოსდგომოდა. თანამედროვე კაპიტალისტურ მეურნეობაში ასეთი მოვლენა, ე. ი. ქალთა სოციალურ ასპარეზზე გამოსვლა, ფრიად თვალსაჩინო ფაქტია. ნათლად ვხედავთ, რომ მუშა ქალთა რიცხვს საპატიო ადგილი უჭირავს როგორც ინდუსტრიასა და ვაჭრობაში, ისე სასოფლო მეურნეობაში და ეს რიცხვი თანდათან მატულობს. ეს ბევრ მხრივ ფრიად საყურადღებო მოვლენა წარმოების ახალ წესის ერთი ნიშნობლივი თვისებაა, რომლის გაცნობა და გათვალისწინება მკითხველისათვის ძლიერ საინტერესო უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ ქალთა საკითხის და ნაზი სქესის სოციალურ მდგომარეობის შორის ლოდიკური დამოკიდებულებაა. ამიტომ მეტი არ აქნება, თუ მკითხველს მოკლედ გაგაცნობთ ქალთა შრომის მდგომარეობას ევროპის ერთ კუთხეში—სახელდობრ გერმანიაში.

ივ. რამიშვილი

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ-ნმა დოროშევიჩმა შემდეგი სტრიქონები უძღვნა კრიუგერს „რუსკოე სლოვო“-ში:

მოხუცი კრიუგერი გარდაიცვალა.

უდიდესმა დამამშვიდობებელმა სიკვდილმა მოსპო აუტანელა ტანჯვა, რომელსაც სიცოცხლეს უწოდებენ. ქვეყანა ვეღარ იხილავს ვერასოდეს ისეთ გმირ-პატრიარქს, როგორიც კრიუგერ იყო. ჩვენს დროში იგი მოგვაგონებდა უძველეს დროთა გმირს. ძველის აღთქმის ტექსტით ის უფრო ძველის აღთქმის კაცს მოგვაგონებდა. უფრო ჰგავდა „ისრაელის მსაჯულს“, ვიდრე თანამედროვე ერის თანამედროვე მმართველს.

იქ, შორეულს აფრიკაში, იმას სხვანაირი წარმოდგენა ჰქონდა ევროპიელებზე. ეგონა, რომ ჩვენ, ევროპიელები, ქრისტიანები ვართ და ვცდილობთ ქრისტიანულად ცხოვრებას. როცა იმისი ძვირფასი სამშობლო სისხლისაგან იწრიტებოდა და მაინც ბრძოლას განაგრძობდა, კრიუგერი ევროპაში წამოვიდა. იფიქრა, შევევედრები ქრისტიანთ და დახმარებას ვთხოვო. ევროპა ტაშის ცემით მიეგება კრიუგერს. ის დახმარებას სთხოვდა,—მას როსტანის ლექსები მიართვეს ნიშნად პატივისცემისა. ის უთითებდა ძმებზე, რომელნიც სულსა ჰლევდნენ ბრძოლაში,—მას კალათი მიართვეს ყვავილებით ნიშნად აღტაცებისა. ის ღვთის გულისათვის ემუდარებოდა: „გვიშველეთ!“ ევროპა-კი პასუხად იძახოდა „გაუმარჯოს კრიუგერსა“-ო! და ეს ყვირილი შეუერთდა გმირულ რესპუბლიკის უკანასკნელ ამოსუნთქვას. ამ ოვაციებსა, ყვავილებს, ლექსებს გაექცა გულ-დამწვარი მოხუცი და მიიმალა ევროპის ერთ წყნარ კუთხეში. იქ ლოცულობდა, სტიროდა და კვდებოდა და ბოლოს განუტევა მრავალ-ტანჯული სული..

თეატრი

ჭიათურა. დიდ დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს ადამიანს, როცა იგი ისეთ საქმეებს მოეპოტინება, რისაც არაფერი გაეგება. ასეთი ვაჟბატონი საკუთარისა და პირადის სარგებლობისა ან ინტერესისათვის წამოუსვამს ხელს რომელსამე სიმპატიურ საქმეს, გადალახავს იმის ღირსებას, გათელავს, ოღონდ ორი გროში იგდოს ხელთ. სწორედ ასე მოიქცნენ ჭიათურაში ქუთაისის თეატრის „არტისტები“ 4 ივლისს. წინა დღეებში აფიშებით გამოგვიცხადეს, რომ ბ-ნ ზარდალოვის გამგეობით და „ამაშუკელის მონაწილეობით“ წარმოდგენილი იქნება ორი პიესა: „ჩვენი დროის ქალები“ სამ მოქმედებიანი კომედია ყ—ნისა და „ადვოკატი მელაძე“. წარმოდგენა სახალხო იყო; ასეთ შემთხვევაში არტისტებს ეძლევათ შავი-ქვის საბჭოსაგან სუბსიდია 70 მან. ამას, რასაკვირველია, ბილეთების ფასიც ემატება და გვარიანი ფული სდგება, მეტადრე ასეთ ქესატობის დროს, როგორიც ეხლაა. დანიშნულ დროს თეატრის დარბაზი ხალხით გაივსო. „ჩვენი დროის ქალები“ ხალხს ახალ პიესად მიაჩნდა და სიამოვნებით მოელოდა, ამ პიესაში რამეს დავინახავთ, მაგრამ მოსტყუვდა. აიხადა ფარდა და სცენაზედ დაპირებულ პიესის მაგიერ დავინახეთ სულ სხვა „გოგიას საცოლე“ და ისიც თავიდან ბოლომდე უხეიროდ ჩატარებული. არ გამოუდგებით თამაშობის აწონ-დაწონვას, ვიტყვით მხოლოდ, რომ რაღაც „ბავშობია“ გამოვიდა. პიესის გამოცვლით და თამაშის უვარგისობით საზოგადოება ძლიერ უკმაყოფილო დარჩა. ყველგან საყვედური გაისმოდა ასე აბუჩად საქმის აგდებისათვის. შემდეგში ითამაშეს „ადვოკატი მელაძე“, თუმცა ცოტა უკეთ, მაგრამ მაინც სუსტად და უფერულად. დამსწრე საზოგადოება პირველ პიესის გათავების შემდეგ დაშლას აპირებდა, მაგრამ დარჩა იმ იმედით, რომ შეიძლება მეორე პიესა უკეთ ჩაატარონო. რადგან აქაც იმედი გაუცრუვდა, ყველა გულ ნატკენი და უსიამოვნო დაბრუნდა. ნეტა ვიცოდეთ, როცა შავი-ქვის საბჭო სუბსიდიით წარმოდგენის ნებას აძლევდა ამ „არტისტებს“, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა.

ვ. კამათელი.

დ. ხონი. უეჭველია მოგეხსენებათ, მკითხველო, რომ აქაურმა საზაფხულო თეატრმა თქვენი პირი წაიღო. უეჭველია იმასაც გაიგებდით, რომ ამ ზაფხულში აქ „თითქმის“ წარმოდგენა არ დადგმულა. 4 ივლისს, როგორც იქნა, ვეღირსეთ წარმოდგენას, სამკითხველოს სასარგებლოდ გამართულს ქუთაისის სცენის მოყვარეთა მიერ. წარმოადგინეს „ფული და ხარისხი“ აზიანისა და „ძუნწი“ გ. ერისთავისა. უნდა მოგახსენოთ აგრეთვე, რომ ამ დღეს ბ-ნ კოსტანდის ცირკში სამი ჭიდაობა გახლდათ. უმეტესი ნაწილი საზოგადოებათა, რასაკვირველია, ცირკისკენ გაემართა, დანარჩენი კი იმ დარბაზისკენ, სადაც წარმოდგენა იყო. წარმოდგენამ საზოგადოდ სუსტად ჩაიარა: ერთი-სცენის მოუწყობლობის გამო და მეორე—როლის უცოდინარობისა. სუფლიორის ხმა მშვენიერად ისმოდა. როლის უცოდინარობა კარგ არტისტს იმდენად არ შეემჩნევა, რამდენადაც უხეიროს და სცენის მოყვარეს.

ვ. კ—ძე

წერილები

დიდი ჯიხაიში (იმერეთი). მიწის მუშაობა და მეაბრეშუმეობა ორი უმთავრესი დარგია მეურნეობისა ქვემო იმერეთში. ხალხს ამაზე აქვს იმედი დამყარებული, მაგრამ იმედი ხშირად ცრუვდება. ვენახებმა ხომ კარგა ხანია თავი დაგვიკრეს, სიმინდის მოსავალიც თანდათან სუსტდება და აბრეშუმიც არა [illegible] მოსავალს იძლევა. მუშა ხელი გაძვირდა. ძალიან იშვიათია, რომ ქვემო იმერეთში ერთ ოჯახში ორი-სამი მუშა ერთად იპოვოთ. ახალგაზრდობა ქალაქისაკენ მიეშურება, სადაც თავის-თავსაც ძლივს იკვებავს. დიდი-ჯიხაიშის საზოგადოებაში 1000-მდე კომლი გლეხკაცია, რაც არა ნაკლებ 2000 მომუშავე ხელს შეადგენს. აქედან წლიურად, როგორც კანცელარიიდან გაცემულ ბილეთების ნომრებიდანა სჩანს, ნახევრამდე სხვა-და-სხვა ქალაქებშია გასული სამუშაოდ. ასევეა სხვა სოფლებშიაც. რა თქმა უნდა, ასეთი ცვლილება გამოიწვია გლეხის უადგილ-მამულობამ და მემამულეთა მიერ იჯარის აწევამ. ჩვენში მდიდრად მიაჩნიათ ის გლეხი, რომელსაც 8—10 ქცევა სახნავ-სათესი მიწა მოეპოვება, თუმცა ასეთების რიცხვი ძალიან მცირეა. საუკეთესო მიწა უნდა იყოს, რომ ერთ ქცევაზე მოვიდეს 50—60 ფუთი სიმინდი, ღირებული—25—30 მან. აქედან ყოველ ხარჯს გარდა გლეხს შესაძლოა 10-15 მან. დარჩეს; ამდენი დარჩება, თუ საკუთარ მიწას ამუშავებს,—თუ-კი საზიაროა, მაშინ მემამულეს ნახევარი მიაქვს. არც შესაძლოა, რომ ერთმა მუშამ მარტო 6-8 ქცევა მიწა დაამუშაოს ხეირიანად. აბრეშუმის მოსავალი ვერ არის წელს ხეირიანი. შარშან ქვემო იმერეთში 40,000 ფუთი პარკი მოვიდა, ღირებული არა ნაკლებ 500,000 მან., წელს-კი შედარებაც არ შეიძლება. ამასთან აბრეშუმის თესლიც ძვირიდ იყიდებოდა —4-5 მანეთად კოლოფი. ჩარჩების ყოფა-ქცევამ დიდად დააფიქრა ხალხი. ხალხს ჰსურს შემდეგისათვის ყოველ სოფელში ააგოს ფარდულები, პარკის სახრჩობები, (ს. იანეთსა და დიდ-ჯიხაიშში უკვე შეუდგნენ საქმეს), და თვითონვე გაასაღოს თავისი საქონელი. წლევანდელი ყანებიც ვერაფერ მოსავალს გვპირდება. ჯერ აქეთ ხეირიანი წვიმა არ მოსულა. გვალვისაგან ყანებს ძლიერ უჭირს. დიდი-ჯიხაიშის საზოგადოებაში მამასახლისის არჩევა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. მამასახლისის არჩევა წელს აქ ორჯელ მოჰხდა, მაგრამ დამტკიცებული მამასახლისი ჯერ კიდევ არა გვყავს. პირველი მთავრობამ არ დაამტკიცა, მეორემ მამასახლისობაზე უარი განაცხადა და რაღაც ნაირად კიდეც განთავისუფლდა. მამასახლისობას ეხლა კანდიდატი ასრულებს. ამ მოკლე ხანში ხელ-ახალი არჩევანი მოხდება.

ბაგე.

სოფ. ჭაგანი (იმერეთი). აგერ ერთი კვირაა, რაც ისეთი სიცხე-გვალვა დაიჭირა, რომ სიმინდი სულ აჭკნო. შევჩერებივართ ცას და მანანასავით ველოდებით წვიმას, მაგრამ სადაა? თუ კიდევ სიცხე-გვალვა დაიჭირა, თქვენი მტერია, მოსავალი სიმინდისა განახევრდეს. ხუთ სოფელს: ჭაგანს, ქვიტირს, კულაშს, ჯიხაიშს და ეწერს ამდენხანს უკვე უნდა გვქონოდა სარწყავი წყალი მდინარე ცხენის-წყლიდან: სათავე გაკეთებულია, უმთავრესი არხი გაჭრილია და ეხლა სოფლებში უნდა გაჭრა პატარა არხებს, მაგრამ, საუბედუროდ, ზოგიერთ ვაჟბატონების წყალობით ამ კეთილ და სასარგებლო საქმესაც დაბრკოლება ეძლევა. როგორც ამბობენ, პატარა ჯიხაიშის მცხოვრებს ერთ აზნაურს ნება არ მიუცია არხის გაჭრისა იქ, სადაც მიწის მზომელმა დანიშნა. აბრეშუმის პარკის გაყიდვა გვიხაროდა, მაგრამ იმედმა გვიმტყუნა. მაზანდა 8—9 მანეთიდან დაიწყეს და ძლივს 11 მანეთამდე ავიდნენ; ბოლოს კი, როცა პარკი აღარ იყო, 12—13 მანეთსაც იძლეოდნენ. ვაჭრები, რასაკვირველია, კმაყოფილნი არიან პარკის ყიდვით, მაგრამ გამყიდველი პარკისა კი დიდ ზარალშია: ერთი კოლოფი თესლი (6 მისხლიანი) დაუჯდა 4 მანეთად, შრომა მოუნდა 15 მანეთისა და თუთის ფურცელიც 10 მანეთისა სულ, სულ 29 მანეთი. თესლმა ზოგგან ივარგა და 2-3 ფუთამდე გააკეთა პარკი, ზოგგან მთლად წახდა. ასე რომ თითო ყუთი თესლიდან პატრონმა გაჰყიდა $2^1/_2$ ფუთი პარკი, 10 მანეთად ფუთი, აიღო სულ 25 მანეთი. მაშასადამე ოთხი მანეთი იზარალა. გლეხობა ეხლა იმ აზრს დაადგა, რომ მომავალ წელს ადრიან შევიძინოთ ძაფის ამოსაღები მანქანა და, თუ პარკის ფასმა ძალიან დაიწია, ნუ გავყიდით, ძაფად ამოვიღოთ და უფრო კარგ ფასებში გავყიდითო. გაისისათვის ასე ჰფიქრობენ, მაგრამ გაისამდე როგორ გასძლებენ, თვითონაც არ იციან. ჭაგანის მცხოვრებთ აზრადა აქვთ დააარსონ სოფელ ჭაგანში საამხანაგო სავაჭრო დეპო. ვნახოთ როგორ განახორციელებენ ამ განზრახვას.

ს. ხ—ია.

თელავი. თელავში რომ ახლო-მახლო სოფლებიდან ცისმარე დღე სანოვაგე არ შემოჰქონდეთ და მცხოვრებნი ხორაგის მხრივ აქაურ ვაჭრებზე იყვნენ მინაბრებულნი, აქამდე შიმშილით დაიხოცებოდნენ. ყოველ-დღე სოფლის დედაკაცებს შემოაქვთ ბოსტნეულობა და ხორაგეული და ამით ქალაქის მცხოვრებთაც დიდ სამსახურს უწევენ. ეს უკანასკნელნი დარწმუნებულნი არიან, რომ ყოველ დღე, როცა მოუნდებათ, გავლენ იქვე ახლოს და გაურჯელად, რაცა ჰნებავთ, იყიდიან. თუნდ ზამთარი იყოს, თუნდ ზაფხული, თუნდა სიცივე, სიცხე, წვიმა და დარი, სულ ერთია, მოეშურებიან მძიმე ტვირთით იარმუკაზე. თელავში ორი იარმუკაა. ერთი შუა ქალაქში, რიყის პირას და მეორე უფრო მოშორებით. არც ერთს, არც მეორეს ჯეროვანი ყურადღება არა აქვს მიქცეული. პირველი, ქალაქი რომ დუქნების აშენებას აპირებდა, იქ არის. შენობისთვის მასალა მოზიდეს და მთელი მოედანი მოფურტკნეს. აღარც დუქნებს აშენებენ, აღარც ადგილს ანთავისუფლებენ, დედაკაცები სანოვაგით ხან სად სხდებიან, ხან სად და ხშირად ჩხუბიც მოსდით ადგილზე. ამბობენ, დუქნების აშენება იჯარით არის გაცემული და ვადაცაა დანიშნულიო, მაგრამ რით ვერ გავიდა ეს ვადა, ან იქნება ქალაქთან დადებულ ხელწერილს და პირობებს ძალა არა აქვს?! მეორე იარმუკა ჯერ სომხის ეკლესიასთან იყო, ახლა ადგილი უცვალეს და სუფ-კარაპეტის მოედანზე გადაიტანეს. ეს უფრო კარგი ადგილი და ფართოა, დედაკაცებს ჩხუბი მაინც აღარ მოუვიდოდათ, მაგრამ ეხლა კიდევ ნახევარი ამ მოედნისა ქალაქს გაუქირავებია და ხე-ტყის საწყობსა ჰმართვენ. ამასთან არ შემიძლიან არ აღვნიშნო უსუფთაობაც, რომელიც იარმუკებზე სუფევს. თუმცა ხან-და-ხან მოჰგვიან ხოლმე და მეორე დღეს დედაკაცებს აწიოკებენ—დაგვის ფასს ართმევენ, მაგრამ ასეთი დასუფთავება უსიამოვნების მეტს არაფერს იწვევს. საჭიროა თვით ქალაქმა მეტი მზრუნველობა გამოიჩინოს და როგორც სისუფთავეს, ისე სხვას ყურადღება მიაქციოს.

დიმიტრაშვილი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშა სააგენტოსაგან)

8 ივლისი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა, მადლობა გამოეცხადოს ნოვგოროდის გუბერნატორს გრაფ მეგდენს იმ წესრიგისთვის, რომელიც დაცულ იქმნა მისს უდიდებულესობის მოგზაურობის დროს ჯარის დასათვალიერებელ ადგილებს, სტარაია რუსსასა, ნოვგოროდსა და ჩუდოვოს სადგურზე.

სამარა. შეიპყრეს ერთი იმათგანი, რომელთაც ყაზანის სასწაულთ-მოქმედი ხატი მოიპარეს.

სტამბოლი. მონასტირის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ამ ქალაქიდან ხუთი საათის სავალზე მდებარე დაბაში შეტაკება მოუხდათ ოსმალთა ჯარსა და მეამბოხეთა 15 კაცისაგან შემდგარ რაზმს. მოკლულ იქნა 2 სალდათი და 5 მეამბოხე; დანარჩენი მეამბოხენი გაიქცნენ. მეამბოხეთა ეს რაზმი ამას წინად ბოლგარიიდან მოვიდა.

9 ივლისი

ლონდონი. („რეიტ. სააგ.“). ინდოეთის ვიცე-კოროლს ებოძა ლონდონის სიტის საპატიო მოქალაქის წოდება.—გილდჰოლში გამართულ ნადიმის დროს ინდოეთის ვიცე-კოროლმა ლორდმა კერზონმა სიტყვა წარმოსთქვა. ლორდმა სთქვა, ეჭვი არა მაქვს, რომ ნაყოფს მოიტანს ტიბეტის შესახებ პოლიტიკა, რომელიც მე ვურჩიე მთავრობასაო. სახეიროა ეს პოლიტიკა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ტიბეტს სხვა სახელმწიფოს მფარველობის იმედი მიეცა. შიში ტიბეტის გამო ნამდვილი გამოდგა. იმედი მაქვს, სთქვა კერზონმა, რომ ტიბეტელებსა და ინგლისელებს შორის საუკეთესო ურთიერთობა დამყარდებაო.

ყაზანი. „კაზანსკი ტელეგრაფ“-ი იუწყება, რომ ყაზანის მაზრის ზოგიერთ სოფლებში დასეტყვა ყანები. ზარალი 80 ათას მანეთზე მეტია. სეტყვის თითო მარცვალი მტრედის კვერცხის ოდენა იყო და ზოგ ადგას მთლად დაჰფარა მიწა.

კიევი. მოვიდა გზა-ტკეცილებისა და მდინარეებზე მიმოსვლის განყოფილების უფროსი ინჟენერი ლიპინი და ოლქის გზების უფროსსა და გემების ინსპექტორთან ერთად წავიდა სატეხნიკო ნაშენობის დასათვალიერებლად მდინარე დნესტრსა, ბუგსა და დნეპრზე.

ბაქო. ბაქოს გუბერნატორმა საგუბერნიო ექიმისა და პრესსის წარმომადგენელთა თანდასწრებით დაათვალიერა ზიხის ნავთსადგურში სამკურნალო საზღვაო სადგური. სახლი და მოწყობილება წმინდა აღმოაჩნდა. დეზინფექციას წესიერად აკეთებენ „სიმენს და ჰალსკეს“ მანქანით. იმ ნივთებს, რომელნიც ორთქლს ვერ უძლებენ, გაზით ან სხვა წამლებით სწმენდენ. მგზავრებს სადგურის აბანოში აბანავებენ. მგზავრებმა განაცხადეს, რომ დეზინფექციას არ გაუფუჭებია ჩვენი ნივთებიო. თეირანში ყოველ დღე 240 კაცამდის კვდება.

სოფია. (ოპოზიც. წრეებ.) მაკედონიიდან სანუგეშო ამბები მოდის. მას აქეთ, რაც ფორმალურად დამტკიცდა, რომ გიუმენჯეს მცხოვრებთა შორის ძალმომრეობა ოსმალეთის სალდათებმა მოახდინეს, მოხელეებმა სასტიკი ღონისძიებანი მიიღეს მშვიდობიანობის დასაცველად. კუცოვალახებმა 17 საზოგადოება შეადგინეს, რომელთა საერთო რიცხვი 50-ია.—სტამბოლიდან იუწყებიან, რომ მუშის ვილაეტში მშვიდობიანობა აღდგენილიაო. გაჭირვებულთ ეწევიან ფულითა და სურსათით.

დრონტჰეიმი. მოვიდა იმპერატორი ვილჰელმი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 6 ივლისი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,00
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	37,35
ლონდონისაზე ჩეკები	94,55
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	$37{,}52^1/$
ბირჟის დისკონტი	$6\text{-}7^1$
4% სახელმწიფო რენტა	$92^1/$
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ. . . .	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	$88^1/_8$
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	385
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	300
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	260
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. . . .	—
4½% ობლ. იმავე საზოგად..	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. .	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . .	--
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	188

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებს.

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგი ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სა[illegible]ბათ) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 [illegible] წ.); [illegible] საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს[illegible] 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 [illegible] (12 [illegible] 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დი[illegible]ლის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 [illegible] ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 [illegible] ს. [illegible] წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილ[illegible] ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო [illegible] 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) [illegible] საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს[illegible] 20 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშ[illegible]ადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო [illegible] № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პ[illegible]რასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო [illegible] № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); სა[illegible]ონ.-სამგზ № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. [illegible] წ. (8 ს. 37 წ.), საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 [illegible] (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 [illegible] (11 ს. 33 წ.).

ერივან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 წ. 2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.), 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.(; 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

შორაპნამდე: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

განცხადებანი



СѢДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН
Безъ конкуренціи
Продаются всевозможн. сѣдла, მიხაილოვის პრ., სახლი აკ[illegible]ვისა, № 92, საზაფხულო ს. [illegible]ნიის ახლოს. (წ.—176—5[illegible])

დაიბეჭდა ცალკე წიგნათ და იყიდება ქართულ[illegible] წიგნის მაღაზიებში ახალი წიგნი
მამულიშვილობა
და მეცნიერება
ივ. ჯავახიშვილისა.
ფასი 15 კაპ. (10—6.—4)

Доз. цензурою. 9 Іюля 1904 г. [illegible] წიგნების გამომც. ქარხ. ამხ—ბის. Электропеч. Груз. Изд. То—ва.